საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4992/01
19/05/2021

4992-01-2-202105191803

შპს „მობილგორიგაზს“

მის: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი,

გაზაფხულის ქ. N18

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 23 აპრილის N7299 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. გორში ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის შპს ,,მობილგორიგაზს“ უკვე მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2019 წელს შეთანხმებული აქვს კანონით დადგენილი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია. თუმცა განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებს არსებული გაზგასამართი სადგური, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 184 მეტრში (გვ. 5), ხოლო ავტოგასამართი სადგურის სიტუაციურ სქემაზე დატანილი ინფორმაციის მიხედვით საპროექტო ტერიტორიიდან მანძილი უახლოეს მოსახლემდე შეადგენს 140 მეტრს (გვ. 28), შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან მდ. მტკვარი დაშორებულია 107 მეტრით. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდინარე მტკვარი მდებარეობს 7 მეტრში. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან გაცნობებთ, რომ „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდინარე მტკვრის წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 50 მეტრს და აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან. შესაბამისად, საჭიროა დაგეგმილი საცავებისადმი მდ. მტკვრის წყალდაცვითი ზოლის გავრცელების დადგენა და წყალდაცვით ზოლში N440 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შერულება. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას რეზერვუარების განთავსების GPS კოორდინატები;

- სკრინინგის განცხადების მიხედვით ობიექტი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდით. ხანძრის შემთხვევაში წყლის გამოყენება მოხდება ობიექტზე არსებული ჭიდან (გვ. 10), ხოლო სკრინინგის განცხადებაში (გვ. 14) მოცემულია, რომ ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილიზირებული სახით, რაც შეეხება ტექნიკურ და მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო წყალს, მისი აღება ხორციელდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან. ზემოაღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, (გვ. 14) უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. აჭყვა ობიექტიდან დაშორებულია 550 მეტრით, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტის ფუნქციონირების შედეგად, ზედაპირულ წყალზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. გორში, ხოლო ზემოაღნიშნული მდინარე აჭყვა მდებარეობს აჭარაში.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია სალექარის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სალექარის ტიპის და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ხმაურის ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

სამინისტრო, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე